

ჩარჩო ხელშეკრულება საგადახდო მომსახურების შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულების პირობები („ხელშეკრულება“) სავალდებულოა თქვენთვის და კომპანია შპს „მაქს ექსპრესს“-ისთვის.

გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ წინამდებარე პირობებს.

ამ ვებ გვერდის სარგებლობისას, თქვენ ავტომატურად ეთანხმებით ამ ხელშეკრულების პირობებს და ვალდებული ხართ დაიცვათ ყველა ქვემოთ მოცემული პირობა, რომლითაც რეგულირდება თქვენ მიერ ჩვენი სერვისით სარგებლობა და სხვა მომსახურების პირობები. იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, ვალდებული ხართ დაუყოვნებლივ შეწყვიტოთ ჩვენი სერვისით სარგებლობა.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ზოგადი პირობების გარდა კონკრეტული მომსახურების მიღებისას შესაძლოა არსებობდეს განსხვავებული და სპეციფიკური წესები, რომლის შესახებაც თქვენ ინფორმაციას მიიღებთ კონკრეტული მომსახურების მიღების პროცესში. ზოგად პირობებსა და სპეციალურ პირობებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ამ ხელშეკრულების პირობებს.

ტერმინთა განმარტება

ჩვენ - შპს „მაქს ექსპრესს“, შემდგომში <http://maxexpress.net>;

თქვენ - პირი (ფიზიკური პირი; იურიდიული პირი, რომლის სახელითაც ფიზიკური პირი მოქმედებს) რომელიც შედის ვებგვერდზე; მომსახურება - ელექტრონული საგადახდო მომსახურება; ხელშეკრულება - წინამდებარე დოკუმენტი;

მომსახურება - ელექტრონული საგადახდო მომსახურება, ფულადი გზავნილები;

გამგზავნი - ფიზიკური პირი, რომელიც მიმღების სასარგებლოდ ახორციელებს გადახდას, ფულადი გზავნილის გამგზავნი;

მიმღები - პირი, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება გადახდის განხორციელება, ფულადი გზავნილის მიმღები;

ხელშეკრულება - წინამდებარე დოკუმენტი;

ვებგვერდით სარგებლობისას თქვენ:

- ადასტურებთ, რომ ხართ სრულწლოვანი ქმედუნარიანი პირი, ან 16 წელს მიღწეული პირი და გაქვთ ნებართვა შესაბამისი პირებისაგან (კანონიერი წარმომადგენელი) დადოთ წინამდებარე ხელშეკრულება და მიიღოთ ვებგვერდის საშუალებით ონლაინ საგადახდო მომსახურება და განკარგოთ შესაბამისი თანხები;
- ვებ-გვერდზე ავტორიზაციის გავლისას წარმოადგენთ ზუსტ და უტყუარ ინფორმაციას, რათა ისარგებლოთ ჩვენი მომსახურებით;
- ვებ-გვერდის ავტორიზაციისას ინფორმაციის მოწოდება ხდება თქვენი საკუთარი სურვილით და ამისათვის თქვენ გაგაჩნიათ კანონმდებლობით, ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება/ნებართვა.
- ადასტურებთ, რომ ჩვენ გვაქვს უფლება შევინახოთ თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ტრანზაქციების ისტორიის შექმნის და ვებ-გვერდის ფუნქციონირების სხვა მიზნებისთვის.
- დაიცავთ საავტორო და ინტელექტუალურ უფლებებს. არ განახორციელებთ ვებგვერდზე არსებული ინფორმაციის სრულად ან რაიმე ნაწილის კოპირებასა და გავრცელებას, ნებისმიერი სახით და მიზნებისათვის;
- დაიცავთ ავტორიზაციისას თქვენი პირადი ანგარიშის უსაფრთხოებას და კონფიდენციალურობას. არ გაუმჟღავნებთ ნებისმიერ მესამე პირს თქვენი ავტორიზაციისას შექმნილი პროფილის უსაფრთხოების მონაცემებს, რათა დაცული იყოს თქვენს პირად ანგარიშზე არსებული ინფორმაცია;
- არ განახორციელებთ ისეთ ქმედებას, რომელიც საფრთხეს უქმნის ვებგვერდის გამართულ ფუნქციონირებას.
- არ განახორციელებთ ისეთ ქმედებას, რომელიც აკრძალულია კანონმდებლობით, ამ ხელშეკრულებითა და მსგავსი ვებგვერდების საშუალებით ონლაინ საგადახდო მომსახურების მიღებისათვის დამკვიდრებული წესებით;
- ადასტურებთ, რომ არ განახორციელებთ ისეთ ქმედებებს, რომელიც მიმართულია სხვა პირების პირადი და კონფიდენციალური ინფორმაციის, მათ ანგარიშის უსაფრთხოების კოდების გაგებისაკენ და სხვა მომხმარებლის პირადი აქტივის განკარგვისაკენ.
- ადასტურებთ, რომ არ განახორციელებთ ნებისმიერ უკანონო ქმედებას ჩვენი ვებგვერდის მეშვეობით, მათ შორის ისეთ ქმედებებს, როგორცაა, ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსება ან ხელშეწყობა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისაკენ მიმართული ქმედებები;

საიტი – ინტერნეტ-საიტი, განთავსებული ინტერნეტის ქსელში მისამართზე: www.maxexpress.net რომელზეც განთავსებულია შესაბამისი სერვისები და სერვისების გამოყენების საფასურის გადახდის მეთოდები.

1.3. ჩვენ

შპს „მაქს ექსპრესს“-ი არის კომპანია, რომლის მიზანია, შესაძლებელი გახადოს ელექტრონული გადახდები (“მომსახურება”) ვებგვერდის, კერძოდ <http://maxexpress.net> მეშვეობით.

ვახორციელებთ მომსახურებას, რომელიც უზრუნველყოფს მიმღების ანგარიშზე ფულადი სახსრების ჩარიცხვას და მის შესრულებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს გადახდებს პირდაპირი დებეტის (მათ შორის, ერთჯერადი დავალებით), საგადახდო ბარათის ან სხვა ელექტრონული საშუალების გამოყენებით, ან საკრედიტო გადარიცხვას (მუდმივი დავალების ჩათვლით), საგადახდო მომსახურების მომხმარებლის საკუთარი თანხის ან საკრედიტო რესურსის ფარგლებში;

1.4. ვებ-გვერდის გამოყენება

გადახდის შესრულებისას, თქვენ ადასტურებთ თანხმობას, რომ იხდით კონკრეტული მიმღების მომსახურების, ან პროდუქციის საფასურს. თქვენ შეგიძლიათ განახორციელოთ ნებისმიერი გადახდა თქვენი საბანკო ბარათის მეშვეობით.

<http://maxexpress.net> ზე რეგისტრაცია თქვენ გაძლევთ შესაძლებლობას, გქონდეთ თქვენი პროფილი, რისი საშუალებითაც, ჩვეულებრივი მომხმარებლისგან განსხვავებით, თქვენ შეძლებთ გადახდების ისტორიის ნახვას, გადახდების შაბლონების შექმნას და რაც ყველაზე მთავარია, შეძლებთ გადახდას უფრო მარტივად, რადგან არ მოგიწევთ იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციისთვის აუცილებელი ინფორმაციის თავიდან შეყვანა.

ადასტურებთ, რომ გეკუთვნით/ფლობთ ყველა საჭირო უფლებას, ნებართვას იმისათვის, რომ გამოიყენოთ და ნება დაგვრთოთ, რათა გამოვიყენოთ ნებისმიერი თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია, ამ ხელშეკრულებისა და ინფორმაციის დაცვის პოლიტიკის შესაბამისად;

1.5. მომსახურების გაწევა:

ჩვენ ვიტოვებთ უფლებას საკუთარი შეხედულებისამებრ არ დავუშვათ, ან სხვა სახით შევზღუდოთ კონკრეტული თქვენგანის მიერ ჩვენი მომსახურების მიღება.

ასევე, ვიტოვებთ უფლებას, უარი გითხრათ თქვენ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტულ გადახდასთან დაკავშირებით, ეროვნული ბანკის მიერ საგადახდო მომსახურების პროვაიდერისთვის დადგენილი სტანდარტებიდან გამომდინარე.

მომსახურების მიღებისას, თქვენ ადასტურებთ თანხმობას, რომ იხდით კონკრეტული მიმღების მომსახურების ან პროდუქციის საფასურს. კონკრეტული გადახდის დაფიქსირებისთანავე აირჩევთ სასურველი გადახდის ფორმას და საბანკო ბარათზე ან ანგარიშზე დაიბლოკება შესაბამისი ოდენობის თანხა. ხარვეზის არსებობის შემთხვევაში თუ დროულად არ მოხდება სერვისის მიწოდება, ჩვენ მივმართავთ მიმღებს, რომლის

საშუალებითაც განხორციელდა გადახდა და ვაგზავნით მოთხოვნას ხარვეზის აღმოფხვრის თაობაზე.

1.6. ფულადი გზავნილის მიღება და ვაგზავნა

როგორ იგზავნება ფულადი გზავნილი:

თქვენ შეგიძლიათ ფულადი გზავნილი ვაგზავნოთ კლიენტთა მომსახურების ცენტრში მდებარე მისამართზე:

საქართველო, თბილისი, ვაკე, ვაჟა-ფშაველას გამზ., N 45. მესამე სართული, ოფისი N 300

ფულადი გზავნილის ვაგზავნის საფასური იხდის მხოლოდ გამგზავნი (გზავნილის მიღებისას მიღების საკომისიოს გადახდა არ ხდება).

საკონტროლო ნომრის მიღებისთანავე ფულადი გზავნილის მიღება შესაზღვრელია გზავნილის მიმღებზე გადახდით/მიღებით.

ფულადი გზავნილის ვაგზავნისთვის თქვენ უნდა გადახვათ რამდენიმე მარტივი ნაბიჯი:

1. მიმართოთ **შპს „მაქს ექსპრესს“**-ის მომსახურების ცენტრს;
2. წარუდგინოთ ოპერატორს თქვენი პასპორტი ან მისი ჩემცვლელი სხვა დოკუმენტი;
3. აცნობოთ ოპერატორს ფულადი გზავნილის ვალუტა, მიმღების ქვეყანა, მიმღების სახელი გვარი და მამის სახელი;
4. ხელი მოაწეროთ ოპერატორის მიერ შევსებულ განაცხადს ფულადი გზავნილის ვაგზავნაზე და შეიტანოთ გზავნილის თანხა **შპს „მაქს ექსპრესს“**-ის მომსახურების ცენტრის სალაროში;
5. აცნობოთ ფულადი გზავნილის მიმღებს გზავნილის საკონტროლო ნომერი, რომელსაც მიიღებთ ოპერატორისაგან და რომელიც ასახულია თქვენს მიერ ხელმოწერილ გზავნილის ვაგზავნის განაცხადში;
6. ფულადი გზავნილი მზადაა მიმღების მიერ მისაღებად დაუყოვნებლივ (ონლაინ რეჟიმში) მისი ვაგზავნისთანავე.

ფულადი გზავნილის ვაგზავნის შემდეგ, მხოლოდ გამგზავნს შეეძლება ცვლილებები შეიტანოს გზავნილის მიმღების სახელიში, თუ მას თან აქვს განაცხადი გზავნილის ვაგზავნის შესახებ და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ტრანსფერში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფულადი გზავნილი ჯერ არ აქვს მიღებული მიმღებს.

ფულადი გზავნილის დაბრუნება

ფულადი გზავნილის გადარიცხვის გაუქმება- დაბრუნება შესაძლებელია მხოლოდ გამგზავნისთვის, თუ არსებობს განცხადება გზავნილის ვაგზავნის შესახებ და გამგზავნის პირადობის

დამადასტურებელი დოკუმენტი და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფულადი გზავნილი ჯერ არ აქვს მიღებული მიმღებს.

ფულადი გზავნილის დაბრუნება შესაძლებელია 3 შემთხვევაში:

1. გამგზავნი თავად ინიცირებს ფულადი გზავნილის დაბრუნებას (გზავნილის გაგზავნის საფასური - საკომისიო გამგზავნს უკან არ უბრუნდება).
2. ფულადი გზავნილი არ იქნა მიღებული მისი გაგზავნიდან 30 დღის განმავლობაში (გზავნილის გაგზავნის საფასური - საკომისიო უკან არ ბრუნდება).
3. მიმღებმა ვერ მიიღო ფულადი გზავნილი ფულადი გზავნილების სისტემა Welsend-ის ბრალით (გზავნილის გაგზავნის საფასური - საკომისიო უკან არ ბრუნდება).

რა არის ფულადი გზავნილის საკონტროლო ნომერი?

თითოეულ ფულად გზავნილს ენიჭება უნიკალური 10 – ნიშნა ტრანსფერის-გადარიცხვის ნომერი, რომლის მიღებაც იმაზე მიუთითებს, რომ ფულადი გზავნილის მიღება უკვე შესაძლებელია.

ფულადი გზავნილის გამგზავნმა უნდა აცნობოს მიმღებს გზავნილის საკონტროლო ნომრის შესახებ.

მხოლოდ ის, ვინც იცის ფულადი გზავნილის საკონტროლო ნომერი, შეუძლია მიიღოს მის სახელზე გაგზავნილი ფულადი გზავნილი, რადგან ფულადი გზავნილის საკონტროლო ნომერი არის ერთ-ერთი აუცილებელი დეტალი მისი მიღებისათვის.

როგორ მივიღოთ ფულადი გზავნილი:

თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ფულადი გზავნილი მომხმარებელთა მომსახურების ცენტრში:

საქართველო, თბილისი, ვაკე, ვაჟა-ფშაველას გამზ., N 45. მესამე სართული, ოფისი N 300

ფულადი გზავნილის მისაღებად, თქვენ უნდა გადადგათ მხოლოდ რამდენიმე მარტივი ნაბიჯი:

1. მიმართოთ შპს „მაქს ექსპრესს“-ის მომსახურების ცენტრს;
2. ოპერატორს წარუდგინოთ თქვენი პასპორტი ან მისი შემცვლელი დოკუმენტი და მიაწოდოთ/აცნობოთ ფულადი გზავნილის საკონტროლო ნომერი;
3. ოპერატორს აცნობოთ ფულადი გზავნილის თანხის ოდენობის, გზავნილის ვალუტის, გამგზავნის სახელი, გვარი და მამის სახელის შესახებ;
4. ხელი მოაწეროთ განცხადებას ფულადი გზავნილის მიღებაზე, რომელიც გაფორმდება/შეივსება ოპერატორის მიერ;
5. მიიღოთ ფულადი გზავნილის თანხა შპს „მაქს ექსპრესს“-ის სალაროში;

ფულადი გზავნილის გამგზავნმა უნდა აცნობოს მიმღებს ფულადი გზავნილის საკონტროლო ნომრის შესახებ.

1.7. ვალდებულებები

თქვენ ვალდებული ხართ საგადახდო ინსტრუმენტის (ანგარიშის, კოდის, ფულდი გზავნილის საკონტროლო ნომრის, პაროლის და სხვა გადახდის განხორციელებისათვის აუცილებელი მონაცემების) დაკარგვის, მოპარვის, უკანონო მითვისების ან უკანონო გამოყენების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში მისი აღმოჩენიდან უმოკლეს ვადაში შეგვატყობინოთ ამის თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში სრულად ხართ პასუხისმგებელი განზრახ და დაუდევრობით გამოწვეულ ნებისმიერ ზიანზე.

თქვენ ვალდებული ხართ დაიცვათ საგადახდო ინსტრუმენტის/ფულადი გზავნილის უსაფრთხოების ზომები, უზრუნველყოთ ანგარიშის/ფულადი გზავნილის პერსონიფიცირებული საშუალებების დაცვა.

ჩვენ ვალდებულები ვართ მივიღოთ ყველა შესაძლო ზომა თქვენი საგადახდო ინსტრუმენტის /ფულადი გზავნილის დაცულობისა და მისი არამართლზომიერი გამოყენების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად, არ გავხადოთ ანგარიშის პერსონიფიცირებული უსაფრთხოების მახასიათებლები და საშუალებები ხელმისაწვდომი სხვა პირებისათვის, გარდა ამ მათი მფლობელისა და გაგაცნოთ ანგარიშის უსაფრთხოების მოთხოვნები;

საგადახდო ინსტრუმენტის (ანგარიშის, კოდის, პაროლის, გზავნილის საკონტროლო ნომრის და სხვა გადახდის განხორციელებისათვის აუცილებელი მონაცემების) დაკარგვის , მოპარვის, უკანონო მითვისების ან უკანონო გამოყენების ფაქტის აღმოჩენის შეტყობინების მიღების შემთხვევაში, გიდასტურებთ შეტყობინების მიღებას, თუ შეტყობინების მიღებიდან გასული არ არის 18 თვეზე მეტი. მომხმარებლის მიერ შეტყობინების მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ უზრუნველყოფთ საგადახდო ინსტრუმენტის შემდგომი გამოყენების აღკვეთას. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

ჩვენ გვეკისრება პასუხისმგებლობა და ვალდებულება ამ ვებგვერდის მუშაობასთან დაკავშირებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გამოწვეული ჩვენი განზრახვი ქმედებით.

თქვენ სრულად ხართ პასუხისმგებელი თქვენს მიერ ჩვენთვის საგადახდო დავალებით მოწოდებული რეკვიზიტების სისწორესა და სისრულეზე.

1.8 ლიმიტები

თუ ხართ არაიდენტიფიცირებული მომხმარებელი შეგიძლიათ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში ერთჯერადად განახორციელოთ გადახდა, რომელიც არ აღემატება 1500 (ათას ხუთასი) ლარს ან მის ექვივალენტის უცხოურ ვალუტაში. შეტყობინება არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული გადახდის ოპერაციის შესახებ

თქვენ უფლება გაქვთ მოგვთხოვით არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის შესაბამისი თანხის ანაზღაურება, იმ შემთხვევაში, თუ არაავტორიზებული

ოპერაციის შესრულების თარიღიდან არ გასულა 40 დღეზე მეტი ან არასწორად განხორციელებული გადახდის შესრულების თარიღიდან არ გასულა 180 დღეზე მეტი და არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის შესახებ გვაცნობეთ ამგვარი ოპერაციის თაობაზე ინფორმაციის მიღებიდან უმოკლეს ვადაში.

არაავტორიზებული ან არასწორად შესრულებული გადახდის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ცხელ ხაზზე: (+995 577 54 04 11, შეგვატყობინოთ არაავტორიზებული ან არასწორედ შესრულებული ოპერაციის შესახებ maxexpressgeo@gmail.com და მოგვაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია: გადახდის განსახორციელებლად მითითებული რეკვიზიტი (მაგ. პირადი ნომერი, აბონენტის ნომერი და ა.შ. რაც, შეიყავნეთ არჩეულ საგადახდო მომსახურებაზე), ჩარიცხული თანხის ოდენობა და მიმღების დასახელება, ვის სასარგებლოდაც მოხდა გადახდის მიღება. კანონმდებლობისა და ამ ხელშეკრულების საფუძველზე ჩვენ ვიღებთ გადაწყვეტილებას გადახდილი თანხის დაბრუნების/არ დაბრუნების შესახებ, რომელიც გეცნობებათ. დადებითი გადაწყვეტილები მიღების შემთხვევაში შეგატყობინებთ შესაბამის ინფორმაციას, რომლის საფუძველზეც შეძლებთ მიიღოთ თანხა. თქვენი სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია თანხის გადარიცხვა თქვენს მიერ შემოთავაზებულ ანგარიშზე/მობილური ტელეფონის ნომერზე.

1.9. შეზღუდვები ვებგვერდის გამოყენებისას

ჩვენ არ გავცემთ გარანტიას იმაზე, რომ ამ ვებგვერდით ონლაინ გადახდების მომსახურება იმუშავებს შეცდომების ან შეფერხებების გარეშე.

ვებგვერდზე შესვლის შეფერხება შეიძლება გამოწვეულ იქნეს: კომპიუტერების, სერვერების, ქსელების, ტელეკომუნიკაციის ხაზების, კავშირგაბმულობის და სხვა აღჭურვილობის გაუმართაობით.

ასევე, სისტემის გადატვირთულობით, ზიანით, რომელიც გამოწვეულია სტიქიური მოვლენებით, უამინდობით, უბედური შემთხვევით, ომით, აჯანყებით, არეულობით, ტერორისტული აქტით, მთავრობის ან კანონმდებლობით დაწესებული შეზღუდვებით, სასამართლო გადაწყვეტილებებით ან ნებისმიერი სხვა მიზეზით, რომელიც არ არის ჩვენს მიერ კონტროლირებადი და ჩვენი ბრალით გამოწვეული.

ასეთ შემთხვევებში, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თქვენ შეიძლება, ვერ შეძლოთ, მომსახურების მიღება და გადახდა დასრულდეს წარუმატებლად. აქედან გამომდინარე, გთხოვთ, თავი შეიკავოთ ვებგვერდის გამოყენებისაგან/ონლაინ საგადახდო მომსახურების მიღებისაგან. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გარემოებების მიუხედავად, თქვენ მაინც აგრძელებთ ვებგვერდით სარგებლობას, დამდგარ შედეგებზე და რისკზე პასუხისმგებელი ხართ თქვენ.

1.10. ინფორმაციის გამჟღავნება

ჩვენ უფლება გვაქვს თქვენს მიერ ვებგვერდზე მოწოდებული ინფორმაცია გავუმჟღავნოთ და გადავცეთ:

1. ჩვენთან აფილირებულ ნებისმიერ პირს და მის უფლებამოსილ წარმომადგენელს;
2. ნებისმიერ სხვა პირს ან ორგანიზაციას თქვენი თანხმობით;
3. შესაბამის პირს ან ორგანოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში ინფორმაციის გაცემის უფლების ან ვალდებულების არსებობისას, როგორცაა მაგალითად სასამართლო, არბიტრაჟი და სხვა.

თქვენს მიერ ამ ვებგვერდით სარგებლობა ან ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება მიიჩნევა თქვენ მიერ ინფორმაციის ამგვარ გადაცემაზე თანხმობად.

ჩვენ უფლება გვაქვს დავამუშავოთ თქვენი პერსონალური მონაცემები პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, თქვენთვის მომსახურების გაწევის მიზნით.

ჩვენ მიერ თქვენი ავტორიზაციისას, ჩვენ ვაგროვებთ ორი სახის ინფორმაციას ჩვენი მომხმარებლების შესახებ: პირადი მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია და არაპირადი მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია.

1.11. პირადი მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია

პირადი მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია არის ის, რომლის მეშვეობითაც ხდება კონკრეტული მომხმარებლის იდენტიფიკაცია, მაგალითისთვის: თქვენი სახელი და გვარი, პირადი ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, სქესი და დაბადების თარიღი, ბარათის ნომერი, ვადის გასვლის თარიღი, ავთენტურობის კოდი, ტრანზაქციების ისტორია ან სხვა შესაბამისი ინფორმაცია.

1.12. არაპირადი მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია

არაპირადი მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია არის ის, რომელიც არ ახდენს კონკრეტული მომხმარებლის იდენტიფიკაციას. ამ სახის ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს იმ ბრაუზერის სახეობას, რომელსაც თქვენ იყენებთ და თქვენი ინტერნეტ პროტოკოლის „IP“ მისამართს. ჩვენ ან/და ჩვენს მიერ უფლებამოსილ, მესამე მხარე, მომსახურების პროვაიდერებს შეუძლიათ, ავტომატურად მიიღონ ეს ინფორმაცია. ინფორმაციის განახლება და შეცვლა

თქვენ შეგიძლიათ შეცვალოთ თქვენი ნებისმიერი პირადი საიდენტიფიკაციო ინფორმაცია ვებგვერდზე თქვენი პროფილის შესაბამის განყოფილებაში შესვლით.

1.13. დასკვნითი დებულებები

ამ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია ვებ-გვერდზე <http://maxexpress.net> გამოქვეყნების გზით, რომელიც ძალაში შედის მისი გამოქვეყნებიდან 1(ერთი) კალენდარული თვის შემდეგ.

ხელშეკრულების პირობებში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება ჩაითვლება თქვენთან შეთანხმებულად, თუ ცვლილების ძალაში შესვლამდე არ განაცხადებთ უარს დაგეგმილი ცვლილების თაობაზე. ცვლილებების ამოქმედებამდე, უფლება გაქვთ შეწყვიტოთ ეს ხელშეკრულება დაუყოვნებლივ ყოველგვარი საკომისიოს, ხარჯის და პირგასამტეხლოს გადახდის გარეშე.

ჩვენ, ცვლილებებზე თქვენი უარის შემთხვევაში უფლებამოსილი ვართ შევწყვიტოთ ეს ხელშეკრულება ცვლილებების ამოქმედების თარიღის შემდეგ.

თქვენ უფლება გაქვთ შეწყვიტოთ ეს ხელშეკრულება ნებისმიერ დროს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე ჩვენთვის შეტყობინების გზით.

ჩვენ უფლება გვაქვს შევწყვიტოთ ეს ხელშეკრულება ნებისმიერ დროს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე თქვენთვის შეტყობინების გზით. ეს ხელშეკრულება მოქმედებს რომელიმე მხარის მიერ მისი შეწყვეტის მომენტამდე.

წინამდებარე ხელშეკრულებაზე დათანხმებით და ვებგვერდის საშუალებით ჩვენი მომსახურების მიღებისას, ითვლება, რომ ხელშეკრულება დადებულია საქართველოში, კერძოდ ქ.თბილისში და დავის არსებობის შემთხვევაში მას განიხილავს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თქვენ არ შეგიძლიათ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება ან ხელშეკრულებით თქვენთვის მონიჭებული უფლებები და მოვალეობები მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეთ მესამე მხარეს ჩვენი წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.

თქვენს მიერ ასეთი ქმედების ნებისმიერი მცდელობა იქნება ბათილი.

შპს „მაქს ექსპრესს“

საიდენტიფიკაციო კოდი: 405256574

საგადახდო მომსახურების პროვაიდერის სარეგისტრაციო ნომერი: 0078-2904

იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას ქ. N45;

ფაქტობრივი ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას ქ. N45

ელექტრონული ფოსტა: maxexpressgeo@gmail.com;

თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ 2016 წლის 06 იანვრის №1/04 საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებული „საგადახდო მომსახურების განხორციელებისას მომხმარებლისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესი“-თ განსაზღვრული ინფორმაცია და ინფორმაცია ჩარჩო ხელშეკრულების პირობების შესახებ, რომელიც თქვენთვის ხელმისაწვდომია 24 საათის განმავლობაში ვებ გვერდის (<http://maxexpress.net>) საშუალებით.

საზედამხედველო ორგანოები:

საქართველოს ეროვნული ბანკი, ვებგვერდის მისამართი: www.nbg.gov.ge

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური, ვებგვერდის

მისამართი: www.fms.gov.ge გთხოვთ გაითვალისწინოთ:

საზედამხედველო ორგანოები არცერთ შემთხვევაში არ არიან პასუხისმგებელი ჩვენს მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე.

ეს ხელშეკრულება დადებულია და რეგულირდება ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენაზე